კომპლექსური დავალება მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 8 რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

დავალებებში გამოყენებულია პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში მომზადებული რესურსები:



თემატური ბლოკი:	თემი, რომელშიც ვცხოვრობთ
სამიზნე ცნება:	*დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა*
საკითხი:	თანასწორობა

კომპლექსური დავალების პირობა:

მოირგეთ ჟურნალისტის როლი, რომელიც ყოველკვირეული ჟურნალისთვის წერს სტატიებს. წარმოიდგინეთ, რომ ამჟამად მუშაობთ **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის** თემაზე. გადაწყვიტეთ, დაწეროთ **სტატია,** რომლითაც საზოგადოებას აჩვენებთ, თუ რატომ არის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი და როგორ აღმოვფხვრათ ის შედეგები, რასაც უთანასწორო მიდგომა იწვევს.

სტატიაში თვალნათლივ გამოკვეთეთ:

- რა შედეგები მოჰყვება ქალის და მამაკაცის უთანასწორობას? რა გავლენა აქვს ამ შედეგებს საზოგადოებაზე და როგორ აისახება ის ადამიანის უფლებებზე?
- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარება, როგორც ინდივიდისთვის ასევე, საზოგადოებისთვის?
- რომელი კანონები უწყობს ხელს თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას?
- როგორია ქალისა და მამაკაცის უთანასწორობის დაძლევის გზები და საზოგადოების როლი ამ პრობლემის მოგვარებაში?

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- გენდერული უთანასწორობის გამომწვევ მიზეზებისა და შედეგების შესახებ დაამუშავეთ შესაბამისი მასალა.
- ეფექტური სტატიის დაწერისთვის გაეცანით რჩევებს ;

- ადამიანის უფლებების და თანასწორი გარემოს შექმნისთვის საჭირო კანონების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გამოიყენოთ **საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი** 🔗 და **ადამიანის უფლებათა დეკლარაცია** 🔗
- **ოჯახში ძალადობის** შესახებ განახლებული სტატისტიკური მონაცემები შეგიძლიათ ნახოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე 🔗
- სტატისტიკური მონაცემები საჯარო **სივრცეში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობასთან** დაკავშირებით შეგიძლიათ გადაამოწმოთ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის საიტზე 🔗
- საკითხის უკეთ შესწავლისთვის შეგიძლიათ ნახოთ ტელესკოლის გაკვეთილები **ნაადრევი ქორწინება** 🔗 **გენდერული თანასწორობა** 🔗 **გენდერული ძალადობა და მისი ფორმები** 🔗
- უთანასწორობის შედეგების აღმოფხვრაში საზოგადოების როლის უკეთ გააზრებისთვის, უყურეთ და განიხილეთ ანიმაციური ვიდეოები **ადრეული ქორწინების** 🔗 და **ოჯახში ძალადობის** 🔗 შესახებ

დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე და გენდერული უთანასწორობა ⬆

წყარო:

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო „მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში" გვ. 25-28.

ხშირად შეგვიმჩნევია, რომ ჩვენს გვერდით მყოფი გოგონას შესაძლებლობების დაკნინება მხოლოდ იმ მიზეზით ხდება, რომ ის მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. მოგვისმენია სტერეოტიპული გამონათქვამები: „პოლიტიკა და აქტიურობა რა ქალის საქმეა"? ასეთი მცდარი და სტერეოტიპული გამონათქვამი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მისი ავტორი მოძველებული შეხედულებებით საზრდოობს და რეალურად არ იცის, რომ ქალს, ისევე როგორც კაცს (ჩვენს შემთხვევაში გოგონა და ბიჭ მოსწავლეს) კონსტიტუციამ თანასწორი უფლებები მიანიჭა. ამ უფლებების შელახვა სტერეოტიპული გამონათქვამებით იწყება.

ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება იწყება მათი დაბადების მომენტიდან, ხანდახან კი - უფრო ადრეც. დაბადების მომენტიდან ხშირად გოგონებს და ბიჭებს თავს ახვევენ იმ მყარად განმტკიცებულ სტერეოტიპებს ქალისა და კაცის როლის შესახებ, რომელიც რეალობისგან შორს არის. გენდერული სტერეოტიპით ზარალდება როგორც გოგონა, ისე ბიჭი. მაგალითად, ხშირად ბიჭებს უკრძალავენ ემოციების გამოხატვას, რადგან არსებობს ასევე მყარი სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ „ბიჭები არ ტირიან". გრძნობების

გამოხატვის აკრძალვა, ფსიქოლოგიური კვლევების თანახმად, ასევე არ არის სასარგებლო ბავშვის ემოციური განვითარებისთვის. გოგონებს კი ამავე გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენით, ხშირად ოჯახი მემკვიდრეობის გარეშე ტოვებს და ამით გოგონას საკუთრების უფლებას არღვევს.
გენდერული სტერეოტიპები ჩვენი არასწორი შეხედულებებიდან და წარმოდგენებიდან გამომდინარეობს, რომელიც აღზრდის პროცესში გადმოგვეცა.
ამ სტერეოტიპების ამოსაცნობად უნდა გავმიჯნოთ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნება: სქესი და გენდერი.
სქესი: გულისხმობს ადამიანის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის მდედრობით ან მამრობით ბიოლოგიურ სქესს;
გენდერი: არის ბიოლოგიური სქესის სოციალური და კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია (მაგ. საზოგადოებაში ან ოჯახში როლების განაწილება) ანუ ის, რასაც საზოგადოება მიაწერს და აღიქვამს ქალურ და მამაკაცურ თვისებებად და საქმიანობებად. მაგალითად, ქალისგან, ძირითადად, სახლის საქმეებით დაკავებას ელიან. ამ სტერეოტიპის ზეგავლენით დღეს ბევრი ქალი ვერ ახერხებს სურვილისამებრ დასაქმებას და ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას. ამით ზიანდება როგორც იმ ქალის ინტერესი, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა.

ადრეული ქორწინება

მსოფლიოში გავრცელებულია სტერეოტიპები, რომელიც ქალებს ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოაჩენს. ბევრ ქვეყანაში ქალების ბედს წინასწარ განსაზღვრავენ, დაბადებისთანავე მათ ნაცვლად გადაწყვეტენ მათ მომავალ საქმროს, ადრეულ ასაკში აიძულებენ განათლების მიღების შეწყვეტას და იძულებით აქორწინებენ. ადრეული ქორწინება წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის ნათელ მაგალითს, რომელიც ძალადო- ბად ყალიბდება. დღეს ადრეული და იძულებითი ქორწინება აკრძალულია კანონით და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წარმოშობს.

გენდერულ უთანასწორობას ხშირად ტრადიციებით და დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებით ამართლებენ. თუმცა ნებისმიერი ტრადიცია, რომელიც შესაძლოა, საზოგადოებისა და ადამიანებისთვის საზიანო აღმოჩნდეს, დროთა განმავლობაში, აუცილებლად იცვლება. ტრადიციები ვერ გაამართლებენ ადამიანების უფლებების დარღვევასა და მათზე ძალადობას.

ადრეული და იძულებით ქორწინება საქართველოში

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგონა ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 – დღეში, 13 გოგონა – 30 წამში. საქართველოში არსებული სიტუაცია არანაკლებ მძიმეა. სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშის მონაცემით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა სწავლა, რისი მიზეზიც, უმეტეს შემთხვევაში, ადრეული ქორწინება იყო. სახალხო დამცველის ინფორმაციით, განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაა რამდენიმე რეგიონში, სადაც მაღალია იძულებით ქორწინების, გოგონათა მოტაცების და გარიგებით ქორწინების რაოდენობა. მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გოგონებმა ხშირად არ იციან, ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის. მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მავნე პრაქტიკის შესაცვლელად.

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2013 წელი.

- იმსჯელეთ, რა მდგომარეობაა ადრეული ქორწინების კუთხით თქვენს თემში;
- რა ტრადიციები და სოციალურ–ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ ამ მდგომარეობას?
- რამდენად თვალსაჩინოა ამ მხრივ ბოლო წლების პროგრესი?
- რა გზებს ხედავთ სიტუაციის გასაუმჯობესებლად?

ოჯახში ძალადობა

გენდერული უთანასწორობა სხვადასხვა ფორმას იღებს, მაგრამ საზოგადოებას ნებისმიერ დონეზე ერთნაირად აზიანებს. გენდერული უთანასწორობის თვალსაჩინო და განსაკუთრებით მწვავე მაგალითია ძალადობა ოჯახში. ოჯახში ძალადობის შემთხვევების 90%-ზე მეტი ქალებისა და ბავშვების მიმართ არის განხორციელებული.

წარსულში ოჯახში ძალადობა ოჯახის კერძო საქმედ მიაჩნდათ. საზოგადოება ფიქრობდა, რომ არავის ჰქონდა ოჯახის საქმეში ჩარევის უფლება. ძალადობის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება მთელ მსოფლიოში შეიცვალა და შესაბამისი კანონმდებლობით გამყარდა. დღეს, სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანის უფლებები დაიცვას ყველგან. შესაბამისად, ქალისა და ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს ოჯახ- ში ძალადობისგან.

ოჯახში ძალადობას მრავალი საბაბი აქვს, თუმცა ძირითადი მიზეზები ქალთა მიმართ დომინანტურ (გაბატონებულ) და უთანასწორო დამოკიდებულებაშია.

ოჯახში ძალადობის ნებისმიერ მსხვერპლს უფლება აქვს, დახმარებისთვის პოლიციას მიმართოს. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, ძალადობის შემთხვევაში, მათ ასევე შეუძლიათ, ადგილობრივი სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკს მიმართონ.

საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევა

2009 წელს საქართველოში ჩატარდა ოჯახში ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევა, რომელმაც შემდეგი მონაცემები გამოავლინა:

საქართველოში დაქორწინებულ ქალთაგან ყოველი მე-11 ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია ოჯახში; ქალთა 18.9%-მა აღიარა, რომ ქმრის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის შედეგად ტვინის შერყევა მიუღია; ემოციური ძალადობა აღიარა ქალთა 14%-მა; ქალთა 29%-ს არა აქვს უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს საკუთარ (მშობლების) ოჯახთან; 11.6%-ს სჭირდება ქმრის ნებართვა ექიმთან წასასვლელად და სხვა.

როგორც აღმოჩნდა, ქალების მიერ ძალადობის დაძლევა მჭიდრო კავშირშია განათლების დონესთან. რაც უფრო დაბალია ქალის განათლების დონე, მით უფრო მაღალია მის მიმართ ძალადობრივი ქცევა. მაგალითად, ქალები, რომელთაც არასრული საშუალო განათლება აქვთ, უფრო ხშირად ექცევიან ქმრის კონტროლის ქვეშ, ვიდრე ქალები, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლება.

- იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რა სტერეოტიპები და გარემო ფაქტორები უდევს საფუძვლად ოჯახში ძალადობის გავრცელებულ პრაქტიკას?
- ოჯახში ძალადობა ადამიანების რომელ უფლებებს არღვევს?
- როგორ შეიძლება ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრა?

ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე საჯარო სივრცეში

გენდერული უთანასწორობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე საჯარო მმართველობის სივრცეში. ბოლო რამდენიმე წელია, ქალთა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში არ აჭარბებს 10%-ს (1991, 1992, 1995, 1999, 2003, 2008 წლები), 2012 წლის არჩევნების შედეგად კი 11%-ს მიაღწია. აღნიშნული რაოდენობა ძალიან მცირეა იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მოსახლეობის 52%-ს ქალები შეადგენენ. მაშასადამე, ქალთა თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკაში იქნებოდა მინიმუმ მათი 50%-იანი წარმომადგენლობა. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა წარმომადგენლობას, გაწეული მუშაობის მიუხედავად, წლების მიხედვით სულ უფრო მცირდება: 1998 წელს ქალთა წარმომადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი იყო 14%, 2002 წელს- 12%, 2006 წელს - 11.14%, 2010 წელს - 11%. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ქალების რაოდენობა კვლავაც საგანგაშოა: საქართველოს 59 მუნიციპალიტეტსა და 5 თვითმმართველი ქალაქის საკრებულოში სულ 1550 დეპუტატია წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა - 88.9% (1379) კაცია, ხოლო ქალთა წარმომადგენლების ხვედრითი წილი 11.1% (171) შეადგენს. არსებული გენდერული უთანასწორობის მიუხედავად, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში გვხვდება ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ფაქტები: მაგალითად, ქართველი ქალები მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე და ანა სოლოღაშვილი 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრები იყვნენ და საქართველოს რესპუბლიკის სადამფუძნებლო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობდნენ. მათ წვლილი მიუძღვით 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.